ტრავმაზე ინფორმირებული ზრუნვის არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა საქართველოს მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურებებში

გურანდა თეთრაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, ფსიქოტრავმის მაგისტრის ხარისხის მისანიჭებლად

პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა (ფსიქოტრავმატოლოგია)

ხელმძღვანელი: დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გურანდა თეთრაძე

16.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ტრავმაზე ინფორმირებული ზრუნვის (ტიზ) პოლიტიკასა და პრაქტიკას საქართველოს მცირე საოჯახო ტიპის სახლების (მსტ სახლები) მომსახურებებში. სახელმწიფო ზრუნვაში მოხვედრილი ბავშვების დიდი ნაწილი მძიმე ტრავმული გამოცდილების მქონეა, რაც მათ ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს. ტიზ წარმოადგენს მიდგომას, რომელიც აღიარებს ტრავმის ზეგავლენას და მიზნად ისახავს უსაფრთხო, სტაბილური და მხარდამჭერი გარემოს შექმნას აღდგენის ხელშესაწყობად.

კვლევა ემყარება შერეულ მეთოდოლოგიას: სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები, რეგულაციები და სტანდარტები, თვისებრივი ნაწილი კი მოიცავდა ფოკუს ჯგუფებს, სიღრმისეულ ინტერვიუებს და მათ ანალიზს.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მსტ სახლებში მცხოვრებ ბავშვებში, მიუხედავად საჭიროებისა, ტიზ-ის მიდგომები სისტემურ და ორგანიზაციულ დონეზე ნაკლებად არის დანერგილი. სახელმწიფოს პოლიტიკურ დოკუმენტებში ტიზ-ის პრინციპები არასრულად არის ასახული, ხოლო პროფესიონალების ტრენინგი არასისტემურია და პრაქტიკაში ხშირია რეტრავმატიზაციის რისკის შემცველი მიდგომები. კვლევამ გამოავლინა ტრავმაზე ინფორმირებული პოლიტიკის, ტრენინგის, სუპერვიზიის მექანიზმებისა და სერვისების ტრავმაზე საპასუხო ერთიან სისტემაში ინტეგრაციის საჭიროება.

ნაშრომს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოში ბავშვზე ზრუნვის სისტემაში ტიზ-ის ინტეგრაციის პროცესში. წარმოდგენილი რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სერვისების გაუმჯობესებას და ტრავმული გამოცდილებების მქონე ბავშვების ფსიქო-სოციალური აღდგენის ხელშეწყობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტრავმაზე ინფორმირებული ზრუნვა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები, ალტერნატიული ზრუნვა, რეზიდენტული ზრუნვა, ბავშვობის ტრავმა, ბავშვზე ზრუნვის სისტემა.

Abstract

This thesis examines the policies and practices of trauma-informed care (TIC) within the services of small group homes (SGHs) in Georgia. A large proportion of children placed in state care have experienced severe trauma, which has a significant impact on their mental and physical health. TIC is an approach that recognizes the effects of trauma and aims to create a safe, stable, and supportive environment to promote recovery.

The research employs a mixed-methods approach, combining a desk review and qualitative research. The desk review analyzed state policy documents, regulations, and standards. The qualitative component included focus groups and in-depth interviews.

The research findings indicate that despite the high need among children living in SGHs, trauma-informed approaches are not well integrated within the child care system of responses. TIC principles are not enough reflected in policy documents, professional training is inconsistent, and practices often carry a risk of retraumatization. The study highlights the need for integrating TIC policies, training, supervision and services in a consistent system of care.

This thesis can make a significant contribution to the process of integrating TIC into Georgia's child care system. The recommendations provided will help improve services and promote the psychosocial recovery of trauma-affected children.

Key Words: Trauma-Informed Care, Small Group Homes, Alternative Care, Residential Care, Childhood Trauma, Child Welfare System.